საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/6663
07/11/2022

6663-21-2-202211071017

შპს „რეჭის“
მის: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახო
ელ. ფოსტა: t.gogoladze1@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №5005 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის გათვალისწინებული სააგენტოს №21/6025 წერილით მოთხოვნილი შენიშვნები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადების მე-9 თავში (გვ. 11) მითითებულია, რომ „ხმაურწარმომქმნელი წყაროების გეომეტრიული ცენტრიდან უახლოესი საცხოვრებელი ზონა დაცილებულია დაახლოებით 275 მ-ით“. ამასთან, დანართის სახით წარმოდგენილ სიტუაციურ რუკაზე საცხოვრებელ სახლამდე დაშორების მანძილი მითითებულია 130 მ. დოკუმენტის სიტუაციურ რუკასა და ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისობაში;
- წარმოდგენილი GPS კოორდინატები სცდება shp ფაილების საზღვრებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში, სიტუაციურ რუკაზე წარმოდგენილია საწარმოს შემადგენელი ობიექტების ჩამონათვალი, შესაბამისი GPS კოორდინატების მითითებით. ამასთან, მითითებულ GPS კოორდინატებზე: X - 274532.28; Y - 466469.61 აღნიშნულია, რომ წარმოადგენს საწყობს (9-საწყობი). სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს რის დასაწყობებაა გათვალისწინებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო